ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1924

ქ. ბათუმი, 25 ოქტომბერი 2017 წ

დაბა ჩაქვში, დ. აღმაშენებლის ქ. N40-ის მიმდებარედ არსებულ 878,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ

დაბა ჩაქვში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს წყლისა და ნაწილობრივ წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია (ორი წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა, წყლის მაგისტრალური და სამომხმარებლო ქსელის მშენებლობა, წყალარინების მობილური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და წყალარინების ქსელის მშენებლობა), რომელიც მოიცავს ჩაქვის დასახლების როგორც ბათუმის ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიას, კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის დაბა ჩაქვში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, სადაც მიმდინარეობს სამომხმარებლო ქსელის მშენებლობა, ასევე დ. აღმაშენებლის ქ. N40-ის მიმდებარედ არსებული 878,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც მიმდინარეობს წყალარინების მობილური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღნიშნული მშენებლობის განხორციელებისა და სისტემის სათანადოდ ფუნქციონირებისათვის საჭირო გახდა ჩაქვის დასახლების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორია, რომელიც შედის სამშენებლო არეალში, დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 10 ოქტომბრის N01/9533 წერილის (N28807/25) შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანახმაა განხორციელდეს მითითებული მიწის ნაკვეთის, გამწმენდი ნაგებობის წყალარინების ქსელით, ასევე წყალმომარაგების მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია. ამასთანავე, ხსენებული ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის წინააღმდეგი არ არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (2017 წლის 27 აპრილის N01-10/1626 წერილი).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, შეძენილი ან რეგისტრირებული ქონება.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში, დავით აღმაშენებლის ქ. N40-ის მიმდებარედ არსებულ 878,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

2. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე.

3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი N61001010495).

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დაბა ჩაქვში, დ. აღმაშენებლის ქ. N40-ში მდებარე 878,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 ოქტომბრის N1738 ბრძანება.

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი